№ 226
შაბათი, 1 ნოემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 226
შაბათი, 1 ნოემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კნ. სოფიო ალექსანდრეს ასული ერისთავისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა საყვარელის მეუღლის,

**თავადის კონსტანტინე ბიძინას ძის ერისთავის**

გარდაცვალებიდგან ნახევარის წლის შესრულებას და სთხოვს მობრძანდნენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, კვირას, 2 ნოემბერს, დილის 9½ საათზედ, სადაც გარდახდილ იქმნება წირვა ჲ პანაშვიდი.
(1—192—1)

ტფილისი, 31 ოქტომბერი

ჩვენ წინა წერილებში *) მოვიხსენიეთ იგი მიზეზნი, რომელნიც აქეზებენ და ათამამებენ ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას. ამ მიზეზთა შორის უკანასკნელ დავასახელეთ დაგვიანება საქმეთა გარჩევისა სამსაჯულოს მიერ. იქნება ჩვენ საკმაოდ და სასურველის სავსებით ვერ დავასაბუთეთ ეს ჩვენ მიერ დასახელებული მიზეზი, მაგრამ ამაზე-კი უარს არავინ არ იტყვის, რომ საქმის გარჩევის დახანება და დაგვიანება არ მოქმედებდეს ცოტად თუ ბევრად ქურდობისა და ავაზაკობის წახალისებასა და წათამამებაზე. მაშასადამე, თუ გვინდა ამ მხრით ცოტა რამ ხელი შეეშალოს ქურდობას და ავაზაკობას, საჭიროა წამალი რამ მოვიხერხოთ, რომ საქმეთა გარჩევას სასურველი და შესაძლებელი სისწრაფე მიეცეს.

იმ გარემოებაში, რომელშიაც დღეს ჩვენი მართლ-მსაჯულებაა და წესნი მისთა საქმეთა წარმოებისა, იქნება საჭირო იყოს ძირეული რამ ცვლილება. ამ მხრით საქმის გამოკეთება და მართლ-მსაჯულების წესრიგის გაჩარხვა არ შეადგენს საგანს დღევანდელ ჩვენ წერილებისას. ჯერ იმიტომ, რომ ჩვენ ულონონი ვართ ამისთანა მძიმე საქმე ვიტვირთოთ და მეორე იმიტომ-რომ გაზეთის მოკლე წერილებით ძნელია კაცი ამ ტვირთს გაუძლვეს. ჩვენ მარტო გავკადნიერდებით და იმ გზას ვუჩვენებთ, რომელიც ძირეულს ცვლილებას არ შეეხება და დღესვე შესაძლოა ადვილად აღსრულებაში მოვიდეს.

ყველაზე უწინარეს ჩვენი ყურადღება უნდა მიექცეს მომრიგებელ-მოსამართლეობას. რა ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ აქ საქმეთა გარჩევა არ იგვიანებდეს? ჩვენის ფიქრით, ერთად-ერთი ღონისძიებაა: უმაღლესმა მთავრობამ, რომელსაც ექვემდებარება მომრიგებელი მოსამართლეობა, ყველაზე მძიმე საქმედ უნდა მიიჩნიოს ქურდობა და მიაჩნევინოს თვით მომრიგებელ-მოსამართლეობას. რომ ეს მიჩნევა უქმად არ დარჩეს და სასურველი ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა ზედამხედაობა მომრიგებელ-მოსამართლეზე გაძლიერდეს, გასაქმიანდეს. მომრიგებელ-მოსამართლეს უნდა ებძანოს, დაუყოვნებლივ, რაკი ქურდობაზე საქმე ასტყდა, საქმეს ხელი ჩაჰკიდოს, თუნდ ამისათვის სხვა მორიგ საქმეების გადადვა მოუნდეს. თთვისა და თთვის თავს, საცა ჯერ არს, ანგარიში წარუდგინოს თთვის განმავლობაში რამდენი საქმე გაუჩნდა ქურდობისა, რამდენი რა ხანში და როგორ გაათავა, რამდენი დარჩა და რა პატივსადები მიზეზია საქმის დარჩენისა სამერმისოდ. ამ ანგარიშიდამ, თუ მარტო ფორმალურად არ იქნება განკითხულ, აშკარად გამოჩნდება ვინ როგორ ირჯება და მომრიგებელ-მოსამარლეობის უფროსობას ხელთ ექნება ყოველთვის საბუთი ზედა-მხედაობისა ჲ თვალ-ყურის ჭერისათვის. ამ გზით ზედა-მხედაობა და თვალ-ყურის-ჭერა თვით მომრიგებელ-მოსამართლესაც არ დააძინებს, რადგანაც შესაძლო იქნება ყოველივე დაგვიანება საქმისა მოეკითხოს და, თუ პატივ-სადები მიზეზი არ აქვს, უსაყვედუროდ არ გადარჩეს. ეს შიში საყვედურისა და ერთობ სამსახურში სახელის წახდენისა, საკმაო ღონეა, რომ მომრიგებელმა მოსამართლემ მთელი თავისი ბეჯითობა იხმაროს საქმის დაუხანებლობისათვის.

რაც შეეხება იმ საქმეებს, რომელიც დიდს ქურდობას და ავაზაკობას შეადგენს და ექვემდებარება ოლქის სასამართლოს, ჯერ საქმე უნდა აჩქარდეს გამომძიებლის ხელში და მერე ოლქის სასამართლოში. რომ ან ერთგან, ან მეორედგან საქმე არა ბრკოლდებოდეს, ჩვენის ფიქრით, საჭიროა ყოველივე ავ-კაცობა, რომელიც მიმართულია სხვის ქონების პარვა-მტაცებლობაზე, მიენდოს განსაკუთრებულს გამომძიებელს და განსაკუთრებულს ნაწილს ოლქის სასამართლოსას. ეს განსაკუთრებული გამომძიებელი და განსაკუთრებული ნაწილი ოლქის სასამართლოსი მარტო ქურდობისა და ავაზაკობის საქმეებზედ უნდა იყოს მიჩემებული და სხვა სისხლის სამართლის საქმეთაგან თავისუფალი და ყოვლად მოცლილი.

ჩვენ წინა წერილში, ჩვენის შეძლებისამებრ, ვაჩვენეთ, როგორ უნდა მოეკითხოს სასოფლო პოლიციას ქურდობისა და ავაზაკობის საქმენი. აქაც ჩვენ ჩვენი ვთქვით, რა გზით შესაძლოა სასამართლოებში ცოტად თუ ბევრად აჩქარდეს საქმეთა წარმოება შესახებ ხსენებულ ავ-კაცობისა, მაგრამ შორსა ვართ იმაზე, რომ ვიფიქროთ, ვითომ ამით სრულად ბოლო მოეღოს ქურდობასა და ავაზაკობასა ჩვენში. ეს კია, რომ თვალ-აცქვეტით ყოფნა პოლიციისა, სასწრაფო და ფიცხელი ძიება და დევნა ავ-კაცისა, სწრაფი და დაუყოვნებელი მართლ-მსაჯულება დიდს ზედ-მოქმედებას იქონიებს ხალხზე, ბევრს გაამხნევებს, ბევრს ხელს გამოაღებინებს და მთავრობა თვით მკვიდრთა შორის მოიპოვებს შველას და შემწეობას. ესეთი მღვიძარება ცალკე მთავრობისა, ცალკე მკვიდრისა ბევრს წაართმევს ხალისს, ბევრს მოუკლავს მადას სხვის ქონების ქურდობით და ავაზაკობით შეძენისას. იმედს დაურჯელად გადარჩენისას, ან მთავრობის ხელიდამ თავის დასხლეტისას ბევრად შეასუსტებს, ბევრად შეამცირებს ასეთი შეერთებული ფიცხელი ზედ მისევა პოლიციისა, მკვიდრისა და სასამართლოსი.

ერთი დიდ-მნიშვნელობიანი მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა მკვიდრთა უიარაღობაა. ქურდი, ავაზიკი თავიდამ ფეხამდე გამოწყობილია თოფ-იარაღით მაშინ, როდესაც ძნელად-ღა ჰნახავთ ჩვენში სოფელს, რომ თოფი მოიპოვებოდეს. ხალხი იარაღ-აყრილია და, მაშასადამე, ყოვლად ულონოა, რომ თავი გამოიდოს ავაზაკის მოსაგერებლად და დასახვედრად და რის შიში-ღა აქვს ავაზაკს და ქურდსა? ამიტომაც ასე სასაცილოდ აგდებული ჰყავთ ავაზაკებს სოფელიც და მისი მკვიდრნიც. სასაცილოდ აგდება არ არის, მაშ რა არის, რომ შუა დღისას სოფელში მთელი გუნდი ავაზაკებისა შედის, რაც ჰსურს, ყოვლად დაუსჯელად იმას სჩადის, იტაცებს, სძარცვავს, ზოგჯერ სოფელს ხარჯს აძლევინებს და მშვიდობით გამოდის, თითქო თავისს სახლში შევიდა და გამოვიდაო. განა ერთი და ორი მაგალითია ამისი? ვისი რიდი და შიში უნდა ჰქონდეს ავაზაკსა, როცა არავის ხელში არავითარი იარაღი არ ეგულება მთელ სოფელში. ან რა ჰქმნას თვით სოფლელმა კაცმა, თუნდაც დიდმა გულადმა და თავ-გამომეტებულმა? ცარიელ მუშ-

*) იხ. „ივერია“ № 215.

# ფელეტონი

## ქართველ-კათოლიკეთა შესახებ

(წერილი იზაშვილისა *)

იმ შენიშვნის წყალობით, რომელიც გაზ. „კავკასში“ იყო დასტამბული და რომელსაც სათაურად „ახალციხელთა შეუთვისებლობა“ ეწოდება, ხელ-ახლად იქმნა აღძრული დიდი ხნის გადაწყვეტილი საგანი ბ-ნთ მეფისაშვილთა ეროვნების შესახებ. ამ კერძო საგანს თავისდათავად მოსდევს საზოგადოც—ქართველ-კათოლიკეთა და სომეხ-კათოლიკეთა საქმე, რომელიც დიდად საყურადღებოა როგორც ისტორიულად, აგრეთვე თანამედროვე ინტერესის მხრივ.

ეს საგანი ახალი არ არის—იგი თითქმის 20 წელიწადია, რაც სალაპარაკოდ არის გამხდარი,—მაგრამ დაჭეშმარიტებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჯერ შესაფერად არ განხილულ-გამორკვეულა, თუმცა რუსეთის საზოგადოებაში უკვე გავრცელდა ის აზრი, რომ ქართველი კათოლიკენი სულ არ არსებობენ და რომ თუ კავკასიის ძველი მცხოვრებელი ვინმე კათოლიკეა, ის უეჭველად სომეხი უნდა იყოსო. საიდგან წარმოსდგა ეს აზრი? რად მოხდა, რომ კათოლიკეთა სარწმუნოება სომხთა საკუთრებად გარდაიქცა, როდესაც საქმე საქართველოს და საერთოდ კავკასიის მკვიდრთ შეეხება? საკვირველი და უცნაური საკუთრებაა, მაგრამ გაცილებით უფრო უცნაურია ის, თუ როგორ იჩენს თავს ადგილობრივ სარწმუნოების თვისებანი.

თუმცა გამარჯვება მას შემდეგ, რაც კავკასიის კათოლიკეთა შესახებ ლაპარაკი იქმნა აღძრული, დღემდე იმ მხარესა რჩება, რომელიც მოწადინებულია, რომ კავკასიის ყველა კათოლიკენი სომხებად გარდაჰქმნას და ასეთის საშუალებით თავისის ეროვნების ხალხი გაამრავლოს, მაინც თუ მცირეოდნადაც არის განვიხილავთ ამ საგანს და გადავათვალიერებთ ძველს კამათს ამის შესახებ სომხურ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებს შორის ამტყდარს, არ შეიძლება იმ დასკვნას არ დავადგეთ, რომ მოკამათეებს არ ესმოდათ საქმის არსებითი ვითარება და ამიტომ არ შეეძლოთ ამ საგნის შესახებ პირდაპირი და სწორე აზრი დაედგინათ. უპირველეს ყოვლისა, აქ ადამიანს აკვირვებს აზრთა და ტერმინოლოგიის არევ-დარევა.

ამ გაზეთების აზრით, სიტყვა სომეხ-კათოლიკე“ აღნიშნავს იმ კაცს, რომელიც სომეხთ ეროვნებას ეკუთვნის და კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებს, სწორედ ისე, როგორც „ქართველი კათოლიკე“ ჰნიშნავს უეჭველად ეროვნებით ქართველს, სარწმუნოებით კათოლიკეს. აშკარაა, რომ პატივცემულ „კავკაზის“ რედაქციასაც ასევე ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა.

სომხური გაზეთი „მშაკი“, რომელიც უარსა ჰყოფდა ქართველ-კათოლიკეთა არსებობას, ამტკიცებდა რომ ამ სახელით უნდა ვიგულისხმოთ კათოლიკეთა სარწმუნოება საქართველოს ნიადაგზედაო. მაგრამ ამავე დროს სიტყვა „სომეხ კათოლიკე“, გაზეთის განმარტებით, ჰნიშნავს ეროვნებით უეჭველად სომეხს, სარწმუნოებით-კი კათოლიკეს.

კათოლიკეთა ეკკლესია, როგორც ყველამ უწყის, თხოულობს, რომ წირვა ლოცვა მხოლოდ ერთს ენაზე, სახელდობრ ლათინურად, იქმნეს შესრულებული. მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც ძველადგანვე საზოგადო წესი დარღვეულ იქმნა ბერძენთა, ასირიელთა, სომეხთა და აღმოსავლეთის ზოგიერთ ერთათვის და მათ შორის ქართველთათვისაც.

წირვა ლათინურს ენაზედ გარეგნად ძალიან განსხვავდება იმ წირვისაგან, რომელიც სომხურსა, ქართულსა და სხვა ენებზედ სრულდება, აი, სწორედ ამ წესის სხვა და სხვაობის აღსანიშნავად შემოღებულ იქმნა სახელწოდებანი: „რომის-კათოლიკე“, „სომეხ-კათოლიკე“, „ქართველ-კათოლიკე“ და სხვანი.

თუ რომ ეს სახელწოდებანი ერთსა და იმავე დროს ჰნიშნავენ რომელისამე კაცის ეროვნებას და იმისავე სარწმუნოებას, მაშინ ევროპიელი ყველა კათოლიკენი რომაელებად უნდა ჩავთვალოთ და არა ფრანგებად, იტალიელებად, პოლონელებად და სხვად, რადგანაც ყველა ისინი რომის-კათოლიკენი არიან. ხოლო თუ სიტყვა „რომის-კათოლიკე“ არ აღნიშნავს ეროვნებას, მაშინ რად უნდა ვიგულისხმოთ ეროვნება ამ სიტყვებში: „სომეხ-კათოლიკე“, „ქართველ-კათოლიკე“ და სხვანი, ერთის სიტყვით, მაშინ, როდესაც ,,კათოლიკე‘‘-ს ერთვის სახელი ამა თუ იმ ეროვნებისა?

წარმოვიდგინოთ ფრანგი ანუ ისპანიელი-კათოლიკე, რომელსაც რაიმე მიზეზით სომეხ-კათოლიკეთა წირვის წესი მოეწონა, რომელსაც თავისს გულის-თქმას აჰყვა და ამ ეკკლესიის — ,,სომეხ-კათოლიკეთა‘‘—მიმდევარი გახდა. რასაკვირველია ამითი ფრანგი სომეხად არ გარდაიქცევა და რომ ვინმე შეეკითხოს, რა ეროვნებისა ხარო, ის დაუყოვნებლივ მიუგებს: ,,მე ფრანგი ვარ სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებისა‘‘-ო. თუ ამ შემთხვევაში ფრანგი სომხად არ გადაიქცევა, მაშინ საკვირველია, რადა სცდილობენ, რომ ის ქართველები, რომელნიც სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ, უეჭველად სომხებად გადაჰქმნან, ხოლო იმ ქართველებს, რომელნიც რომის-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ, უეჭველად მოახვიონ კისერზედ „სომეხ კათოლიკეთა წესები“, მაშინ როდესაც თვით კათოლიკობა ამ შემთხვევაში სრულს თავისუფლებას ანიჭებს კაცს ნება-დართულის წირვის ამა თუ იმ წესის ანუ ფორმის აღსრულების მხრივ.

სწორედ საკვირველი და უცნაური იქმნებოდა, რომ საქართველოში, სადაც ყველას თავისუფლად შეეძლო ესა თუ ის სარწმუნოება ეღიარებინა და სადაც ხელს არავინ უშლიდა, განსაკუთრებით იმის პოლიტიკურად არსებობის უკანასკნელ დროს, კათო-

*) ეს წერილი იზაშვილისა, მოწერილი ბათუმიდგან, დაბეჭდილია ამ წლის გაზ. „კავკასის“ №№ 284, 285 და 286 და იმდენად საყურადღებოა, რომ სიტყვა-სიტყვით ვთარგმნით ჩვენთა მკითხველთა საყურადღებოდ. რედ.

ტით ხომ წინ არ დაუდგება კარგ თოფ-იარაღში გამოწკეპილ ავაზაკსა? ან თუნდ დაუდგეს, რა გამოვა აქედამ, გარდა ავაზაკის გამარჯვებისა და მშვიდობის მოყვარე კაცის დამარცხებისა, წახდენისა და იქნება სიკვდილისაც.

ამბობენ, იარაღის აყრა იმიტომ არის საჭირო, რომ აქაური ხალხი გულ-ფიცხი ხალხია, ლხინსა თუ ჭირში, ხან უბრალო ჩხუბში, მაშინვე იარაღსა სწვდება, ერთმანეთს აფუჭებენ, ჰხანჯვლენ და ზოგჯერ ჰხოცვენ კიდეცაო. კარგი და პატიოსანი. თუ ამისთანა ზომებით ეს გვარი დანაშაულობა მთისპობა, იარაღის აყრა ძალიან მოსაწონებელია და სასურველი. ხოლო ესე კია? მას აქეთ, რაც იარაღი აიკრძალა, ამ გვარმა დანაშაულობამ განა იკლო? დიდაჲ საეჭვოა. თუნდ ეკლო კიდეც, განა ამგვარ დანაშაულობის კლება და ავაზაკობის გათამამება ერთი მეორეს ჰფარავს?

დანაშაულობა, რომელიც წარმოსდგება ჩხუბისა და ერთმანეთის წაკიდებისაგან, ჯერ კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ დამნაშავე ავაზაკია, გულით წამხდარი კაცია. ეს გვარი დანაშაულობა შეიძლება ფათერაკად შეემთხვეს ყოვლად პატიოსან კაცსა და ამიტომ ამისთანა დამნაშავე საშიში არ არის საზოგადოებისათვის. სულ სხვაა ავაზაკი. იგი დაუძინებელი მტერია, დაუძინებელი ბოროტია ყველასი. ავ-კაცობა მისი მუდამი ხელობაა. თუ უიარაღობა პირველ გვარ დანაშაულობას უშლის ხელს, ავაზაკობას ხომ ხელს უწყობს, რადგანაც უშიშარ ჰყოფს და მით ათამამებს. ეს სწორედ იმასა ჰგავს, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო.

ვთქვათ, უიარაღობამ გადაგვარჩინა პირველ გვარ დანაშაულობას, ხოლო ამ ზომამ რომ მთელი ქვეყანა ავაზაკის სარბიელად, ავაზაკის ლუკმად გაჰხადა, განა კაცმა ამას ანგარიში არ უნდა გაუწიოს? განა ამას ფიქრი და წამალი არ უნდა? რად გაძლიერდა, ან რად არის ავაზაკობაო? სხვათა შორის იმიტომ, რომ ავაზაკს შიში არა აქვს უიარაღო კაცისა, უიარაღო სოფლისა. იცის, რომ წინ არავინ დაუდგება, არავინ გაუძალიანდება, არავინ გამოეკიდება, არავინ გამოუდგება და რამ უნდა შეუშალოს ხელი? ისიც მიდის და არხეინად ჰთარეშობს. ესეთი მდგომარეობა, ჩვენის აზრით, წაქეზებაა ქურდისა და ავაზაკისა, მიზეზია მისის გაკადნიერებისა და ხელის გაშლისა. გარდა ამისა უიარაღო მკვიდრი აღარც თავისის თავისათვის არის, აღარც მეზობლისათვის, აღარც მთავრობისათვის, როცა საჭიროა ავაზაკის დევნა და წინ დახვედრა. ამით მთავრობას აკლდება იგი ძლიერი ღონე, რომელსაც წარმოადგენს ამისთანა შემთხვევაში მხნეობა და თავის-გამოდება მკვიდრისა და საზოგადოებისა. აქ ხელშეკრულია მარტო მშვიდობის მსურველი და მფარველი მკვიდრი და ხელგახსნილია მარტო ქურდი და ავაზაკი. ჩვენა გვგონია, რომ ეს შეუფერებელი მდგომარეობაა, ადამიანის ყოფა-ცხოვრების თვალით რომ დავაკვირდეთ და საჭიროა ასეთის უხერხულ მდგომარეობისაგან გამოყვანა აქაურ მკვიდრისა.

თუ ყველას, ესე იგი, თვითეულს მსურველს ცალკე ვერ ენდობა თოფ-იარაღი იქონიოს, ეს მაინც უნდა, რომ თვითეულ ცალკე სოფლის საზოგადოებას დაურიგდეს იარაღი, იგი ებაროს ერთს ვისმეს სოფლის მოხელეს, რომ საჭიროების დროს მოიხმარონ. თუ მთავრობისაგან დარიგება იარაღისა ამა თუ იმ მიზეზით არ არის შესაძლებელი, თვით სოფლის საზოგადოებას მაინც ნება მისცენ და საცა საჭიროა დაავალონ იარაღი იქონიონ სამღვეროდ და საგერებლად. როგორ და რა გზით მიენდოს სოფლის მოხელეობას თოფ-იარაღი, ამისი წეს-რიგი ადვილად შესადგენია და ჩვენ ამას არ გამოვუდგებით. საქმე თოფ-იარაღის ნებართვაა და ჩვენ მარტო ეს აღვნიშნეთ, სხვას ყველაფერს ადვილად მოევლება.

ამით ვათავებთ ჩვენს წერილებს ქურდობისა და ავაზაკობის თაობაზე ჩვენში. დასასრულ იმას დავძენთ, რომ სახეში არა გვქონია უქმი იმედი ვითომც სრულად ამოსაკვეთად ხსენებულ ავ-კაცობისა რაიმე გზა და ღონე გვეჩვენებინა. ეს რომ შესაძლებელი იყოს, ჩვენზე უკეთესნი ჩვენზე ადრე აღმოაჩენდნენ მაგისთანა გზასა და ღონესა და ქვეყანაზე ქურდობა და ავაზაკობა აღარ იქნებოდა. არ არის იმისთანა ქვეყანა, თუნდაც ძლიერ დაწინაურებული სიმდიდრით და განათლებითა, საცა ამ გვარი ავაზაკობა არა ჰბუდობდეს და არ იჩენდეს თავს. ამის ძირეულს მიზეზებს ფესვი მაგრა და ღრმად გადგმული აქვს, როგორც ჩვენში, ისეც სხვაგან, იმ ავ-კარგიანობაში, რომელსაც წარმოადგენს მეტ-ნაკლებობა საეკონომიო და საზნეო ვითარებისა. ამაშია მისი სათავე და ამ გზით ამოწურვა საქმისა საჭირო სავსებითა ბევრს ძიებას, ცოდნას და შიგ ჩახედულობას თხოულობს. გარდა ამისა საეკონომიო და საზნეო ვითარების განკარგება, გასწორება იმოდენად, რომ ამ მხრით საზღოება მოაკლდეს ქურდობასა და ავაზაკობას, ბევრს დროსა, ბევრს რთულს გარჯას და მეცადინეობას ნდომულობს. მინამ აქედამ საქმეს ეშველება რამ, ბევრი წყალი ჩაივლის, თუმცა საჭიროა-კი, ნამეტნავად ჩვენში, მალე მიჰყონ ხელი ამ განკარგებას და ეხლავ დაიწყონ მეცადინეობა.

ამ მიზეზით ჩვენ ეს საეკონომიო და საზნეო საჭიროებანი მარტო გაკვრით მოვიხსენიეთ და უფრო ვრცლად თვალწინ დავიყენეთ იგი გარემოებანი, რომელნიც გარედამ ხელს უწყობენ ჩვენში ქურდობის და ავაზაკობის გახშირებას და ნავარდობას. ეს გვარნი გარემოებანი თვალ და თვალ დასანახავნი არიან და ადვილად გამოსაკეთებელნი. იქნება ჩვენ მიერ ნაჩვენები ზომიერებანი იმდენად არ ჰშველოდნენ საქმეს, რამოდენადაც სასურველია. უკეთესთა ზომიერებათა მონახვა და აღმოჩენა შეუძლიანთ ჩვენზე უკეთესად საქმეში შიგ ჩახედულთა. ხოლო ჩვენკი მაინც ამას ვიტყვით, რომ გაურჯელობა მოხელეობისა, დაგვიანება სამართლისა, და ყოველ ამითი გულის გატეხა მკვიდრისა, იგი უთოფ იარაღობა, რომელიც ავაზაკს ხელში უშიშრად აძლევს ხალხის მშვიდობით ყოფას, ხალხის ქონებას, ისეთნი მიზეზნი არიან, რომ ამაებს ანგარიშის გაწევა უნდა. კიდევ ვიტყვით, აღმოკვეთა ამა მიზეზთა მთლად არ აღმოჰკვეთს ქურდობასა და ავაზაკობას, მაგრამ უეჭველად ალაგმავს, შეაცოტავებს, შეასუსტებს, და სხვა არა იყოსრა, ხელს მაინც არ შეუწყობს და ესეც მოგება იქნება. იმედი უშიშრად გადარჩენისა, ან ასე თუ ისე თავის დაძვრენისა ბევრსა ჰშველის ქურდობისა და ავაზაკობის გაჩენას და გახშირებას. ავის ზნის კაცს ეს იმედი აქეზებს და ათამამებს და საჭიროა ამ იმედს გზა შეეკრას, ეს იმედი ჩამოართვან ქურდსა და ავაზაკსა.

---

## მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით ბათუმის ოლქის სამმართველოს თარჯიმანის თანამდებობის აღმასრულებელი შახ-აბაზ-ქიბარ-ალი-ზადე ჯიჯავაძე.

გამწესებულ იქმნა უნტერ-აფიცერი თავადი დიმიტრი ჯამბაკურ-ორბელიანი — ტფილისის გუბერნიის სამმართველოში საპოლიციო თანამდებობის კანდიდატად.

---

# ახალი ამბავი

—

⁂ გუშინ, 31 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობამ მისწერა წერილები პეტერბურგისა, მოსკოვისა, სარატოვისა, ხარკოვისა, ყაზანისა, კიევისა და ზოგიერთ სხვა ქალაქების თვით-მმართველობას და სთხოვა შეგვატყობინეთ, რა წეს-რიგი არის მიღებული თქვენს საბჭოებში საქმეთა განსახილველადაო.

⁂ გუშინ, 31 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაუგზავნა ტფილისის ქალაქის თვით მმართველობას დამტკიცებული ანდერძი მედვინოვისა, რომლითაც მან გადასდო 15,000 მანათი ღარიბ სასძლოთა სასარგებლოდ, სახელოსნო სასწავლებლისთვის 6000 მან., სამოქალაქო პირველ-დაწყებით სასწავლებლებისთვის 3000 მანათი. ამასთანავე სამოსამართლო პალატამ დაასახელა კიდეც ის კაცები, რომელთაც უნდა მიჰმართოს ქალაქის თვით-მმართველობამ ზემოხსენებულ ფულის მისაღებად.

⁂ ქალაქის მოურავის მოადგილემ ბ-ნმა ივანენკომ მოხსენება წარუდგინა განსახილველად საფინანსო კომისიას შესახებ იმისა, რომ შემოღებულ იქმნას საერთო გარდასახადი სამკურნალოსთვის და აგრედვე მოემატოს ფული ქალაქის ლომბარდის თანხას.

⁂ ტფილისში იმყოფება ამ ჟამად რუსეთის გამოჩენილი მეცნიერი ბ-ნი ვ. ვ. ლესევიჩი, რომელიც 1 და 2 ნოემბერს არტისტთა საზოგადოების სადგომში წაიკითხავს ლექციებს გაჭირვებულ ლიტერატორთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

⁂ ახლად ამორჩეულმა საბჭოს კომისიამ, რომელსაც ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმე აქვს მინდობილი, მიჰმართა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ. ნ. კ. პ. იანოვსკის და სთხოვა, დახმარება აღმოგვიჩინეთ ამ საქმეშიაო. ბ-ნი მზრუნველი დიდის თანაგრძნობით მიეგება საბჭოს გადაწყვეტილებას და დაჰპირდა კომისიას, დავეხმარები ქალაქის შუამდგომლობასაო.

⁂ ორშაბათს, 3 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, „ტფილისის კრუჟო-

---

ლიკეთა ქადაგებასა და ამ სარწმუნოების გავრცელებას, ერთს ალაგას არ იყვნენ ქართველები: რომის კათოლიკენი, სომეხ-კათოლიკენი და ქართველ-კათოლიკენი, სწორედ ისე, როგორც არიან სომხები რომის-კათოლიკენი, სომეხ კათოლიკენი და, უთუოდ, ქართველ-კათოლიკენიც-კი.

ამ შეხედულობათა და აზრთა არევ-დარევას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ არამცთუ უბრალო, გაუნათლებელი ხალხი, არამედ განათლებული საზოგადოებაც სარწმუნოებასა და ეროვნებას ერთმანერთისაგან არ არჩევს, აგრეთვე სიმრავლე წესისა ენათა სხვა-და-სხვაობის გამო და განსაკუთრებით არსებობა სომხთა ცალკე საერო ეკკლესიისა, რომელიც აერთიანებს სარწმუნებასა და ეროვნებას. ძნელად წარმოსადგენია, თუმცა დედა-აზრის მხრივ-კი შესაძლებელია, რომ სომეხი ან ებრაელი მართლ-მადიდებელი იყოს, ან რუსი და ქართველი სომხთა სარწმუნოებას მისდევდეს.

ამ ჟამად, რაღაც მიზეზისა გამო, კავკასიაში ქართველ-კათოლიკეთა არსებობას უარსა ჰყოფენ. ის ქათველნი, რომელთაც მტკიცედ დაიცვეს ამ სარწმუნოების წესები კონსტანტინოპოლს შეეკედლნენ, სადაც მათ საკუთარი ეკკლესია აქვთ. ამ ეკკლესიაში ქართულს ენაზედ სრულდება წირვა ლოცვა, რომელიც გარეგნად ძალიან განსხვავდება რომისა და სომეხ-კათოლიკეთა წირვისაგან. ქართველ-კათოლიკენი, ამას გარდა, აღიარებენ მართლ-მადიდებელ ქართველ ეკკლესიის ზოგიერთა წმიდანებსაც.

თუნდა შევიწყნაროთ ის აზრი, რომ ამ ჟამად საქართველოში არ არის ცალკე ქართველ-კათოლიკეთა სარწმუნოება, როგორც კათოლიკეთა ეკკლესიის ცალკე დარგი, მაინც არ შეგვიძლიან უარ ვყოთ ის, რომ ბლომად მოიპოვება ისეთი ქართველი, რომელნიც აღიარებენ კათოლიკეთა სარწმუნოებას. სახელ-წოდება „ქართველი კათოლიკე“, ისე, როგორც „სომეხი-კათოლიკე“ აღნიშნავს ამა თუ იმ ადამიანის ეროვნებასა და სარწმუნოებას, სულ ერთია, კათოლიკეთა ეკკლესიის რომელ დარგსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი: რომის კათოლიკეთა თუ სომეხ-კათოლიკეთა. განა საეჭვოა, მაგალითად, რომ გვარამაძე ძველი, ქართული გვარია? ის კაცი, რომელიც ქართლში ამ გვარს ატარებს და რომელიც მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას აღიარებს, ყველა ქართველად სთვლის, — თუმცა იმავე გვარის სხვა კაცს მესხეთში, რომელიც თუნდა სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებდეს, რაღაც მანქანებით სომეხად ხდიან! თავად თუმანიშვილის გვარში არიან მართლ-მადიდებელნიც, გრიგორიანნიც და რომის კათოლიკენიც. პირველნი ქართველებად ითვლებიან, მეორენი სომხებად, ხოლო მესამენი თუმცა თითონ თავიანთს თავს ქართველებადა სთვლიან, რილასთვისაც უნდათ სომხებად გაჰხადონ. არის აგრეთვე გვარი მაისურაძე, მაისუროვი და მაისურიანცი. მაისურაძეები მართლ-მადიდებლები და სომეხ-კათოლიკენი არიან, მაისუროვები — ქართველები რომის — კათოლიკენი და მაისურიანცები (დაბოლოვება შეცვლილია) — გრიგორიანები, რომელნიც თავიანთს თავს სომხებადა სთვლიან. მაგრამ არიან რომის-სარწმუნოების ისეთი ქართველი ოჯახებიც, სადაც ორ ძმათა შორის ოფიციალურად ერთი რომის კათოლიკად ითვლება, მეორე-სომეხ-კათოლიკად, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი სომეხ-კათოლიკეთა მღვდლის-მიერ იქმნა მონათლული (რადგანაც ამ დროს რომის კათოლიკეთა პატრი ვერ იშოვეს) და სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის დავთარში იქმნა ჩაწერილი. ასეთი მაგალითები უთვალავია, მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა სომეხ კათოლიკე სომეხი არ არის, ესეც საკმარისად მიგვაჩნია.

ეხლა გადავიდეთ და მოკლედ განვიხილოთ ის, თუ როგორ გავრცელდა კავკასიაში კათოლიკობა.

ეკკლესიათა განაწილების დროს, მე-XI საუკუნის დასასრულს, აღმოსავლეთში საქართველო საკმაოდ კულტურულს სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მას შორიდგან ეცქირა და მონაწილეობა კი არ მიეღო იმ სარწმუნოებათა ბრძოლაში, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის იყო ატეხილი. ყველა მსოფლიო კრებებში მონაწილეობის გარდა, სადაც მას თავის წარმომადგენელები ჰყავდა ხოლმე, საქართველო არც შინ იყო მოკლებული იმ სარწმუნოებრივ საგნების მიზეზით გამოწვეულ აღელვებასა და კამათს, რომელიც მთელს მაშინდელს ქვეყანას ალაპარაკებდა. ამ სხვათა დამოუკიდებლობის წყალობით საქართველო ეკკლესიათა უკანასკნელად განაწილების შემდეგ ორის საუკუნის განმავლობაში განცალკევებული იყო და თავისს საერო ეკკლესიის თვით-მყოფობას მტკიცედ იცავდა. მე-XIII საუკუნეში მონგოლთა შემოსევის გამო საქართველო ორ სახელმწიფოდ განაწილდა და იმის საუკეთესო პროვინცია მესხეთი, რომელსაც ათაბეგნი განაგებდნენ, აღარ დაემორჩილა საქართველოს მეფეებს. ასეთის გარემოების წყალობით ამ ადგილებში გაძლიერდა რომის-კათალიკეთა სწავლა — მოძღვრების ქადაგება და ნელნელა სამცხე-საათაბაგომ კათოლიკობა მიიღო, ამ ნაწილის (ქალაქი ახალციხე და ზოგიერთი სოფლები: უდე, ვალე, ხიზაბავრა, არალი, ბარალეთი და სხვანი) მცხოვრებელთ აიღეს რომის პაპისაგან ქართულს ენაზედ ღვთის-მსახურების გარდახდის ნება-რთვა და ზოგიერთი სხვა უფლებანი და სათავე დაუდეს ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიას.

იმის გარდა, რომ ახალციხის მაზრის ზემო ჩამოთვლილ ზოგიერთ სოფელში, სადაც ეხლა წირვა ლოცვა სომხურს ენაზედ სრულდება, დარჩენილი საეკკლესიო წიგნები და სხვა ნივთები ჰპოჰწმობს იმას, რომ ძველადგანვე ამ ადგილებში წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ იყო, ჩვენ შეგვიძლიან აღვნიშნოთ შემდეგი მეტად საყურადღებო გარემოება, რომელიც აშკარად ამტკიცებს ქართ-

კში" ბ-ნი ვ. ი. ვარაპაევი წაიკითხავს ლექციას „უმავთულო ტელეგრაფის" შესახებ.

⁂ სენატმა გაარჩია ერთის კაცის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა სხვისის წიგნიდგან ამოღებულ წერილის დაბეჭდვა. სენატმა განმარტა 1684 მუხლი, რომლის ძალითაც პასუხის გებაში უნდა იქმნას კაცი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნება დაურთველად დაჰბეჭდა სხვის თხზულება. ხოლო თუ თითონ დასწერა რამ და სხვის წიგნიდგან ამოწერილ ადგილებით ისარგებლა, ამ შემთხვევაში პასუხს არ აგებს.

⁂ 9 ნოემბრიდგან იმ შენობაში, სადაც უწინ უფასო სასადილო იყო, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება ქართული სახალხო წარმოდგენები სცენის მოყვარეთა მიერ. ბილეთის ფასი საკმაოდ მცირე იქნება.—ერთი შაური.

⁂ გუშინ დილით ბაქოში გარდაიცვალა გაზეთის „კასპის" რედაქტორი ნ. ა. სოკოლინსკი.

⁂ ამ ჟამად ავლაბარში კეთდება მეორე შენობა გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალოსთვის. ეს შენობა უკვე მზად იქმნება ნოემბრის დამლევამდე. ამ გვარად ქალაქის თვით-მართველობას შეეძლება საკუთარ სამკურნალოში 40 ავადმყოფი დააწვინოს.

⁂ თავ. ნ. ღ. დიასამიძის მოკვლის საქმე დანიშნულია გასარჩევად 13 ნოემბერს ქ. გორში. მოსამართლებად იქმნებიან ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრნი ე. მ. ჩემესოვი და ა. ვ. პადალკო, ბრალმდებელად—ა. ა. კრასოვსკი.

⁂ კობიდგან დეპეშით იუწყებიან- 29 ოქტომბერი, საღამოს 8 საათი: „ძლიერა თოვლს, ნამქერია, ერთი არშინის სიმაღლე თოვლი დასდო. ზვავები ჩამოწვა.

30 ოქტომბერი: დილის 8 საათი: „ნამქერი აღარ არის, ძლიერა თოვლს, კობის ზემოთ გაწმენდილი გზა კვლავ გაფუჭდა".

⁂ ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად ქუთაისში რკინის გზის სადგურის დახლიდგან 6,000 მანათი მოიპარეს. ეხლა სწერენ „ტფ. ფურც.", რომ ამ საქმის შესახებ გამოძიებამ ჯერ ვერაფერი აღმოაჩინაო. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით ეს მოპარული ფული უნდა გადახდეს სადგურის უფროსს და გზის მორიგ აგენტს, რომელთა ჯამაგირიდგანაც ნაწილ-ნაწილ აიღებენ ამ ფულს ოცდა ათი წლის განმავლობაში. ამ საიდუმლო ქურდობის გამოსარკვევად ქუთაისში გაგზავნილია განსაკუთრებული მოხელე.

⁂ გაზეთი „T. Л."-ი სწერს, რომ ბ ნ ჰრელაშვილის და ლისიციანცის გარდა ქალაქის თვით-მმართველობის მდივნის თანამდებობაზედ კენჭს იყრის აგრედვე ბ-ნი თათუზიანცი.

⁂ როგორც „ტფ. ფურ." იუწყება, ქალაქის საბჭოს ერთს ხმოსანს აზრადა აქვს აღძრას ის საგანი, რომ მადათოვის კუნძული ქალაქის საკუთრებააო. გაზეთის სიტყვით, არხივებში შეკრებილის სხვა-და სხვა საბუთების ქაღალდებიდგანა სჩანს, რომ ეს კუნძული ჯერ ხაზინას ეკუთვნოდა, რომელმაც ზოგიერთ კაცებს მისცა სახმარებლად იმ პირობით-კი, რომ ნაპირები გაამაგრეთო. შემდეგ, როდესაც ტფილისში თვით-მმართველობა იქმნა შემოღებული, ეს კუნძული ქალაქს გადაეცა. 1896 წელს ქალაქის თვით მართველობამ მოსთხოვა კიდეც იმათ, ვისაც ეს ადგილები ეჭირა, ნაპირების გამაგრება, მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდნენ ზოგიერთნი და მიისაკუთრეს კუნძული.

## ქალაქის საბჭო.

30 ოქტომბერი

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს კრებაზედ განხილულ იქმნა გამგეობის მოხსენება ქალაქის თვით-მართველობაში მოსამსახურეთათვის საპენსიო კასსის დაარსების შესახებ. ეს შვიდი-რვა წელიწადია, რაც ქალაქის საბჭომ განიზრახა ამ კასსის დაარსება. პირველად ეს საგანი საბჭოში ხმოსნად ნამყოფმა ბ ნმა ზუბალაშვილმა აღძრა და ამ კასსის პროექტიც შეადგინა. მას შემდეგ გამგეობამ, საფინანსო კომისიამ, თვით-მართველობაში მოსამსახურეთაგან შემდგარმა ცალკე კომისიამ რამდენჯერმე განიხილეს ეს საგანი, მაგრამ აქამდის არ იქმნა იგი მოყვანილი სისრულეში. გუშინდელს კრებაზედ ამ საგანმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია ხმოსანთა შორის.

ხმოსანმა ა. ბ. ევანგულოვმა თავის ვრცელ სიტყვაში განმარტა, რომ მოსამსახურეთათვის და ქალაქისათვის გაცილებით უკეთესი იქმნება საპენსიო კასსის ნაცვლად დაარსებულ იქმნას დამხმარებელ-შემნახველი კასსაო. საბჭომ ხელ-ახლად გადასცა ეს საგანი განსახილველად და შესამუშავებლად გამგეობას. გამგეობამ ეს საგანი უნდა განიხილოს ა. ბ. ევანგულოვისა და ქალაქის თვით-მართველობაში მოსამსახურეთა წარმომადგენლებთან ერთად.

## კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება

(დასასრული *)

ბრალმდებელის ამხანაგმა ბ-ნმა კრასოვსკიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ მიზეზი ავაზაკობისა სისუსტეა, გულჩვილობა კანონისაო. ავაზაკთა ციმბირსა და კატორგაში გაგზავნა ვერ მოაცილებს საზოგადოებას თავიდგან ამ მავნე წევრთ, რადგან ციმბირიდგან გამორბიან, ბრუნდებიან თავიანთს სამშობლოში და ისევ ძველსავე ხელობასა ჰკიდებენ ხელს. ის გარემოება, რომ კანონიერს გზას ცხოვრებისას გადაცდენილნი არიან და დალაქავებული წარსული აქვთ, და ამასთან ისიც, რომ ციმბირიდგან გამოპარულნი არიან და იციან, რომ რაც უნდა ჩავიდინოთ, აღარას დავკარგავთო, დიდად საშიშ და თავხედ ავაზაკებადა ჰქმნის ამ ბატონებს. ჩვენი კანონი, რომელიც ძირიანად-კი არა ჰფხვრის ავაზაკებს, ერთის ადგილიდგან მეორეში ჰგზავნის, საიდგანაც ადვილად ბრუნდებიან, საკმარისი არ არის, სუსტია, უნდა გაწყვეტილ იქმნენ ავაზაკნი, დასჯილნი სიკვდილით, რისათვისაც დიდად მოსაწონია ავაზაკთა საქმის სამხედრო სასამართლოში გარდაცემაო.

გ. ნ. ივანენკო. ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ. ყოველთ უწინარეს უნდა აღვნიშნო, რომ დიდი განსხვავებაა რუსეთის ავაზაკსა და კავკასიის ავაზაკს შორის. რუსეთში ავაზაკს ერთის ნახვით იცნობ, იგი უბინაოდ, მარტოდ, ეულად დაძრწის მშიერ მგელსავით და, დევნილი, არაფრითა ჰგავს ჩვეულებრივს მშვიდობიანს მკვიდრს. კავკასიაში-კი ავაზაკსა და მშრომელს გლეხს ერთმანეთში ვერ გაარჩევ, თუნდა გვერდშიაც ამოუყენო. ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში-კი, სადაც მაჰმადიანები სცხოვრობენ, ხშირად ავაზაკი რომელიმე გავლენიანი კაცია, რომელსაც ავაზაკად ხსენებას „ვერც-კი გაუბედავ. იგი ბატონია, ხანად მოაქვს თავი და თითქმის მთელი მაზრა ხელში უჭირავს. სამაზრო ქალაქში სცხოვრობს, ორმოც და-ათამდე მოსამსახურე ჰყავს და იმის წინაშე ყველანი სცახცახებენ. ყველა იმის სასარგებლოდ ხარკს იხდის, დაბეგრილი ჰყავს ხალხი. თუ ურჩობას გაუწევს ვინმე და ვაი იმის დღეს: ამოსწყვამენ, ამოჟლეტავენ, მათრახის ქვეშ სულს ამოართმევს ურჩს. თუ საქმემ სასამართლომდე მიაღწია, ათიათასს მოწმეს იშოვის და თავს იმართლებს. ეს იმისათვის ძნელი არ არის. იმისი თავხედობა იქამდის მიდის, რომ მცხოვრებელთ მეჩეთში უყრის თავს და ფიცს აღებინებს, რომ ჩემნი ერთგულნი იყავით და უჩემოდ მთავრობის არც ერთი განკარგულება არ აღასრულოთო. მეკითხებით ახლა თქვენ, ეს კაცი ავაზაკია თუ საპატიო მოქალაქე? წარჩინებულნი მოხელენი როდესაც მოვლენ ხოლმე იმ სამაზრო ქალაქში, იმათი გულ-უხვი მასპინძელი იგია და ხშირად ორის კვირით გაუმასპინძლდება ხოლმე. ჰხედავს ამას ხალხი და ძრწის იმის წინაშე. ამ კაცს საავაზაკოდ, სათარეშოდ გარეთ გასვლაც არა სჭირდება, თავისის ხელითვე მიაქვთ იმასთან ყოველივე, რასაც-კი მოისურვებს.

მეორე მაგალითი. აგერ ერთიც სოფლად შეფარებულა, ნაციმბირალია. ორი ნუკერი ჰყავს და მთელი ის სოფელი, სადაც ცხოვრობს, და ახლო-მახლო სოფლებიც ხელში უჭირავს. უბრძანებს სოფლელებს და ყველაფერს მოართმევენ. ეურჩებიან და გადასწვამს, ათას უბედურებას დაჰმართავს. იგი ბატონია სოფლისა და ასეთს ბატონს ეწოდება ამბუზარ-აღა, ან ამბუზარ-ეფენდი. სულ ერთია. ეს ამბუზარი მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისის გვერდით მოსახლობს, ყველამ იცის მისი ოინები, მაგრამ შიშით ვერავინ ვერას უბედავს. სცხოვრობს იგი ბედნიერად, კიცს არა ჰკლავს, არავის არას ერჩის-რა, რადგან ყოველივე მისი სიტყვა ბრძანებაა, ყველაფერი უხვად აქვს. გეკითხებით კვლავ, ეს ამბუზარი განა ავაზაკია?

სოფელი რად ინახავსო, იკითხავთ. რად შეინახავს სოფელი, როდესაც იმათს სისხლსა სვამს, იმათი შესანახავია, იმათ კისერზედა ზის. იმიტომ, რომ შიში აქვსთ. ეძნელება ტვირთი მისის შენახვისა, მაგრამ მაინც კრინტი ვერ დაუძრავს, რადგან მოხელეთაგან პატრონობის იმედი არა აქვს. ჰხედავს იმის თავისუფალს, თამამსა და თავხედს მოქმედებას და რწმუნდება, რომ ძალა ამბუზარაღის ხელშია, ვერც მამასახლისი და ვერც ბოქაული იმას ვერ მოერევაო. მეტი რაღა ძალა აქვს, რომ არ დაემორჩილოს. დაარწმუნეთ ხალხი, რომ ძალა იმათ ხელში არ არის, და მოიხსნის კისრიდგან ამ უღელს, აღარ გაექელვინება, აღარ დაემონება.

---

*) იხ. „ივერია" 225.

---

ველ-კათოლიკეთა არსებობას იქ, სადაც ეხლა ყველანი სომეხ კათოლიკებად ითვლებიან, და თუმცა სომხურის ენისა არა ესმით-რა, მაინც იძულებულნი არიან ამ ენაზედ წირვა-ლოცვა მოისმინონ. ყველა ზემოდ დასახელებული სოფლები ახალციხის გარეშემო მდებარეობს და მესხეთის შუაგულს შეადგენენ. ამ შუაგულის გარეშემო დღეს ჩვენა ვხედავთ გამაჰმადიანებულ ქართველებს და აქაიქ ოსმალებსაც, მაშინ, როდესაც შუაგულს დღემდე ქრისტიანობა და მასთან კათოლიკეთა სარწმუნოების ქრისტიანობა აქვს შერჩენილი. რით აიხსნება ეს მოვლენა? როგორ მოხდა, რომ ოსმალებმა, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ ისლამს საქართველოს ამ პროვინციის გარეშემო მართ-მადიდებელ მცხოვრებთა შორის, მოახერხეს მაჰმადიანობის დამყარება და შუაგულში-კი ვერა? სწორედ ისე, რომ ამ შუაგულში იმ დროს დასახლებულნი იყვნენ კათოლიკენი, რომელთაც ოსმალეები ხელს ვერ ახლებდნენ, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთ სახელმწიფოებთან დადებულის ხელშეკრულების ძალით, ეს გარემოება ახალს ჯვაროსანთა ომს გამოიწვევდა და ოსმალეთი განსაცდელში ჩავარდებოდა.

ქართველ-კათოლიკეთა არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქმნას არა მარტო თეორიულის მოსაზრებით. ამისათვის საკმარისია გადავიკითხოთ დაბა ართვინის კორბოლის ეკლესიის—აწ სომეხ-კათოლიკეთა ეკლესია,—მატიანე. ეს ქართულ ენაზედ დაწერილი მატიანე ხელში უჭირავს სამღვდელოებას, რომელმაც ქართულის ენისა არაფერი იცის და ძმობის ბეჭედ-დასმული დაკეტილში აქვს შენახული. იგი ეკლესიის სიწმიდედ ითვლება და იმისი ნახვა სამღვდელოებისა და მრევლის უვიცობისა გამო არავის შეუძლიან.

საქართველოს სამეფოს განაწილების შემდეგ, მე-XIV საუკუნის დასაწყისს, მესხეთი განშორდა საქართველოს და იქ ცალკე სამთავრო შესდგა სამცხე-საათაბაგოს სახელით (1306 წელს). მხოლოდ 1579 წელს დაჰკარგა მან თავისუფლება: იგი ოსმალეთმა დაიპყრო.

ოსმალეთმა დაიპყრო რა სამცხე, მე-XVII საუკუნის ნახევრამდე იმის შინაურ საქმეში არ იღებდა მონაწილეობას. მხოლოდ ამ ხნიდგან დანიშნა იქ თავისი ფაშა და მოსთხოვა სამცხეს ათაბაგებს, რომ მაჰმადიანობა მიეღოთ. მთლად ამ ხნის განმავლობაში, მე-XIV საუკ. დაწყებული მე-XVII საუკუნემდე, სამცხეს მცხოვრებლებს მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ, რომელთა ერთი ნაწილი აღიარებდა მართლ-მადიდებლობას, მეორე — კათოლიკობას. დღემდის დარჩენილი კათოლიკეთა იმ დროის ეკკლესიები და სხვა ნაშთები აშკარად ჰმოწმობენ, რომ მესხეთის მცხოვრებლებს მაშინ არც-კი გაეგონათ სომხური ენა და რომ ეკკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდებოდა.

ამ რიგად კათოლიკობა საქართველოში პირველიდგანვე თავისუფალ ფაქტორს წარმოადგენდა. ჯვაროსანთა უკანასკნელ ომის შემდეგ კათოლიკობა უფრო გავრცელდა მისიონერების წყალობით, რომელნიც, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დახმარებით, თავისუფლად მიდიოდნენ მცირე აზიის ყველა ადგილას დ ქრისტეს მოძღვრებას ჰქადაგებდნენ. ევროპიელთ და მათთან ერთად კათოლიკეებს ოსმალები „ფრანგებს" ეძახდნენ, და მაშინ, როდესაც სხვა ქრისტიანებს ოსმალები სტანჯავდნენ და ძალად ამაჰმადიანებდნენ, „ფრანგებს" ანუ კათოლიკებს ევროპის სახელმწიფოთა შიშით ვერაფერს უბედავდნენ.

მისიონერები საქართველოში შემოდიოდნენ უმთავრესის სავაჭრო გზით, რომელიც კონსტანტინეპოლიდგან ტრაპეზუნდზედ მესხეთში და შემდეგ ქართლში გადმოდიოდა. ეს გზა მდ. ჭოროხის, ფოცხოვის და მტკვრის ხეობებზედ გადიოდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ კათოლიკობა ჯერ მესხეთში გავრცელდა და შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც.

თავდაპირველად მისიონერებს კათოლიკობის უფრო ადვილად გავრცელება შეეძლოთ იმ ქრისტიანეთა შორის, რომელნიც საქართველოს მიწა-წყალზედ სცხოვრობდნენ და რომელთაც ქრისტიანობისა ჯერ კიდევ შერჩენოდათ რამ, ხოლო შემდეგ იმ ქრისტიანეთა შორის, რომელნიც ოსმალეთის საზღვრების მახლობლად მოსახლობდნენ. იმ დროს, როდესაც მაჰმადიანობა ცეცხლითა და მახვილით ვრცელდებოდა, კათოლიკობა ძლიერის პაპების წყალობით, ერთად-ერთი თავშესაფარი იყო, სადაც ქრისტიანებს უშიშრად შეეძლოთ ცხოვრება. ქრისტიანები დიდის სიამოვნებით იღებდნენ კათოლიკობას და „ფრანგებად" იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მაჰმადიანობისაგან დაეღწიათ თავი და ევროპის მფარველობის ქვეშ უშიშარ ეყოთ თავიანთი სიცოცხლე. სიტყვას „ფრანგს" ეხლაცა ჰხმარობენ ახალციხის მაზრის კათოლიკენი, რომელთა აზრით კათოლიკე და ფრანგი ერთი და იგივეა. ქ. ახალციხისა და უდეს, ვალეს, ხიზაბავრას და სხვა სოფლების, სადაც კათოლიკენი არიან, მცხოვრებელთ რომ ჰკითხოთ, რა სარწმუნოების ხარო, ან უბრალოდ—ვინა ხარო, გიპასუხებთ: „მე ფრანგი ვარო"! ხოლო არავინ არ იტყვის: „სომეხ - კათოლიკე", ან „რომის-კათოლიკე ვარო". ამ ჟამადაც-კი საქართველოში სიტყვა „ფრანგი" კათოლიკესა ჰნიშნავს.

ზემო დასახელებულ სავაჭრო გზას რომ დაადგეთ და გაემგზავროთ იმ გზით ბათუმიდგან ტფილისისაკენ, მდ. ჭოროხსა, ფოცხოვასა და მტკვრის ხეობებზედ, ყოველთ უწინარეს ბლომად შეგხვდებათ კათოლიკენი დ. ართვინს, ართანუჯსა, შავშეთსა, ახალციხესა და ახალციხის მაზრის სოფლებშიო, შემდეგ გორსა, ტფილისსა და ბოლოს ქუთაისში.

ამ ადგილებიდგან კათოლიკენი სხვა და სხვა დროს და სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მთელს კავკასიას მოედნენ.

(დასასრული იქნება)

შემდეგ პოლკოვნიკი ივანენკო შეეხო იმ საგანს, რომ ზოგიერთი სასჯელი, სასჯელთა დებულებაში აღნიშნული, მაგალითებრ ციმბირში გადასახლება, ძალიან სასტიკია ადგილობრივ მკვიდრთათვის: სამშობლოს განშორებულნი, ჯან ღონით სუსტნი, რუსულის ენის უცოდინარნი, ისინი ციმბირში ვერ შეიძლებენ უცხოთა შორის ახალის ცხოვრების დაწყებასაო. საერო სასამართლომ დაღესტანში, ადათის კვალობაზედ დადებულმა სასჯელმა კარგი ნაყოფი გამოიღო, თითქმის მოსპო ამ ქვეყანაში ავაზაკობა. დანაშაულისათვის, რომლისთვისაც დაღესტანში საერო სამართალი ადათისამებრ სჯის, ჩვენი სასჯელთა დებულება ციმბირს უწყვეტავს. კარგი იქმნება, რომ ამიერ-კავასიაშიაც ადათი და კანონი შეთანხმებული იყოს, ერთმანეთთან შეფერებული, კანონი ხალხის ზნე-ჩვეულებას არ ეწინააღმდეგებოდეს, სასამართლო ხალხისათვის გასაგები იყოსო.

ბ-ნ ივანენკოს სიტყვას საზოგადოება დიდის ტაშის ცემით მიეგება.

თავმჯდომარე თ. ა. ბიკოვი. ბ-ნ ივანენკოს მიერ დასახელებულ მაგალითისთანას ბევრს ჩვენც დავასახელებდით, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ეს ავაზაკნი ხელში არ უვარდებიან მთავრობას, იმათი გამოაშკარავება ძნელია. რაც შეეხება ადათებს, ჯერ ერთი დაღესტანში, ერთნაირი-კიარა, მრავალი სხვა და-სხვა ადათი არსებობს და მეორე, ამ-ერ-კავკასიაში არავითარი ადათი არ მოიპოვება და არც საერო სასამართლოების დაწესება შეიძლება დაღისტანისებურადაო.

ნ. ზ. სმიტტენი. ღონისძიებანი, ხმარებულნი მთავრობის მიერ ავაზაკობის წინააღმდეგ,—რომელნიც განიხილა აქ ბ-ნმა ფრენკელმა და უარჰყო, ყველა უმნიშვნელო არ არის და თავისს დროზედ მნიშვნელობა და აზრი ჰქონდათ. რაც შეეხება რეფერენტის აზრს, რომ სოფელი არ უნდა იყოს პასუხის-მგებელი ვისიმე დანაშაულისაო, მე სრულიად და სავსებით ვეთანხმები, რადგან ამიერ-კავკასიაში ეხლა შეერთებული, შეკუმშული სოფელი აღარ არის, სოფელი ერთ ოჯახს აღარ შეადგენს, როგორც უწინ იყო და ეხლაც არის სპარსეთში. ცხოვრებისა და კანონ-დებულების კანონით ეს ერთობა დაირღვა, ეხლა ყველა კერძო ოჯახს თავისი ცალკე ცხოვრება აქვს და ამიტომ ერთის დანაშაულისათვის ყველას დასჯა მოსაწონი არ არისო.

ამ აზრს ბ-ნი ფრენკელიც დაეთანხმა.

დასასრულ ბ-ნმა თ. ა. ბიკოვმა წინადადება მისცა კრებას, მადლობა გარდავუხადოთ ბ-ნს ფრენკელსაო, და საზოგადოებამაც ერთხმად განუცხადა მადლობა ბ-ნს ფრენკელს, ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა რეფერატის წაკითხვისათვის.

კრება $11^1/_2$ საათზედ დაიშალა.

## თეატრის მატიანე

„საშინელი შურის-ძიება“, ფარსი 4 მოქმ., თარგმანი ნ. გალუსტოვისა

გუშინწინდელს ბენეფისს სუფლიორის ბ-ნ გალუსტოვისას წინ წაუძღვარეს ჩვენმა გაზეთებმა სიბრალულის აღმძვრელი წერილები იმის შესახებ, თუ რა უმადლო შრომაა სუფლიორის შრომა, რა მძიმეა იგი და რა მცირე ჯილდო აქვს. სრული სიმართლე და ჭეშმარიტება ამისი ყოველს ეჭვს გარეშეა ✝ ამიტომაც ჩვენს საზოგადოებას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცია ჩვენის სცენის მუშაკის ბენეფისისათვის, ხოლო ჩვენი საზოგადოება ვერაფერმა ვერ მოიზიდა ჩვენს თეატრში. ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ვინც გუშინწინდელს წარმოდგენას არ დაესწრო, ინანებს, ინანებს იმიტომ, რომ მოსულიყო, ბევრს იცინებდა და იხარხარებდა, სიცილი და ხარხარი-კი ძალიან უყვარს ქართველ საზოგადოებას. გარდა ამისა, თვითვე დარწმუნდებოდა, რა ნიჭიერი არტისტები ჰყავს ქართულს სცენას. ამ დღეს არტისტები განსაკუთრებულ კარგს გუნებაზედ იყვნენ, როლებიც არა ჩვეულებრივად კარგად იცოდნენ, თამაშობდნენ ერთობ მწყობრად და მოხდენილად ამ დღეს ვნახეთ ჩვენი უმთავრესი არტისტი ბ-ნი ვ. აბაშიძე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რა ძლიერის ნიჭის პატრონია იგი. ასეთს უფერულისა და უაზრო პიესის რომელიმე როლის ისე გაცოცხლება სხვას არავის შეეძლო, თუ არ დიდის ნიჭის პატრონს არტისტს. მთელი ოთხი მოქმედება ცალიერს სისულელესა ლაპარაკობს. უშინაარსო სიტყვებს ჰროშავს ივანე ივანეს ძე კამზოლოვი, რომლის როლსაც ბ-ნი აბაშიძე თამაშობდა, მაგრამ იმდენზედ განაცხოველა ეს ტიპი არტისტმა, ისეთის ძლიერის სიცოცხლის სული ჩაჰბერა, რომ „მანეკენის“ მაგიერ, მართლა ადამიანად მოგეჩვენებოდათ, უცნაურ და ჩერჩეტ, მაგრამ მაინც ხორციელ ადამიანად. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ყველა არტისტმა—მამაკაცმა ჩინებულად შეასრულა თავისი როლი: ბ-ნი კ. მესხი პატარა როლსა თამაშობდა, მაგრამ მეტად მოხდენილად და კარგად, ბ-ნმა გედევანოვმა საუცხოვოდ დაგვისურათა ნამდვილი ფარსის გმირი და ბევრი, ძალიან ბევრი გვაცინა. ბ-ნი შათირიშვილიცა და კანდელაკიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს და ძლიერ სინიდისიერად ასრულეს თავიანთი როლები. რაც შეეხება არტისტ-ქალებს, აქ ყველანი ჰკოჰლობდნენ ქ-ნ ჩერქეზიშვილის გარდა. ამ არტისტ-ქალს დიდი ხანია დამსახურებული აქვს სახელი ჩვენს საზოგადოებაში და სრულიად სამართლიანადაც. თუ ქ-ნი ჩერქეზიშვილისა გუნებაზეა, თუ კარგად არის მომზადებული, ყოველთვის მშვენივრად ასრულებს როლებს, შეგნებითა და გაგებით გვისურათებს ამა თუ იმ გმირს. ანნა ივანეს ასულის კომზოლოვის დას თამაშობდა ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, ე. ი. ბ-ნ აბაშიძის და იყო სცენაზედ და ამ საღამოს მართლა საუცხოვო სანახავი იყო. ერთის სიტყვით ასე კარგად და მწყობრად, ასეთის ერთსულობით, გემოვნებით ჩვენს თეატრში ხშირად არ უთამაშნიათ.

ხოლო რაც თვით პიესას შეეხება, უნდა მართალი მოგახსენოთ, არა გვეთქმის-რა. ჩვენ არ ძალგვიძს შინაარსი გადავსცეთ მკითხველებს, რადგან შინაარსი არა ჰქონია ამ პიესას. სრულიად უაზრო, უშინაარსო პიესამ თუ საზოგადოებას თავი არ მოაწყინა, მხოლოდ და მარტო ჩვენის არტისტების ნიჭიერებასა და მეცადინეობას უნდა უმადლოდეს მობენეფისე. ან და რად დასჭირდა ბ-ნ გალუსტოვს ასეთის პიესის ამორჩევა, ნუ თუ არ შეიძლებოდა, რომელიმე კომედია ეთარგმნა ისეთივე სასაცილო, მაგრამ უფრო აზრიანი? ან რა გარმონია უნდა არსებობდეს სცენაზედ ფარსის, ცხოვრებაში იმ დრამატიულის როლის შორის, რომლის თამაშიც ბედმა არგუნა მძიმე, უმადლო და უსიამოვნო შრომის მონათ.

კ—ა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ჩოხატაური** (გურია). უხაროდეთ ჩოხატაურელებს! დღეს პირველობა იმათა ხვდათ. მარცვა-გლეჯასა, ზნეობრივ სითახსირესა, გონებრივ სიბლუნგესა და უვიცობაში ამათ ბადალი აღარა ჰყავთ. სხვაფრივ გვრაფრით იბინეს თავი, მაგრამ ამით ხომ პირველნი შეიქმნენ, ესეც კაი საქმეა! უგუნურმა ჰკრისტრატმა „დიანის“ მშვენიერი ტაძარი დაწვა, რომ ამითი თავისი სახელი უკვდავ ეყო, ჩოხატაურელების დავთრების საიდუმლოებაც ეგრე უკვდავად დარჩება. ამათი დავთრები შიშის კანკალს ჰგვრის ყველას. „ოღონდ ხელს ნუ მომაწერინებ და თქვენს ანგარიშს ერთს კვირაში მოგართმევო“, ესვეწება მეიდველი ვაჭარს. ამათაც მეტი რა უნდათ?!. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“, ნათქვამია, ზოგიერთებისათვის ნისია ყინულზედ დაწერილი თამასუქია, ამათთვის-კი—უკვდავების წყარო. ვისაც უნდა გაიგოს საიდუმლოება ნისიის ერთი-ათად ადებისა, ჩოხატაურში მობრძანდეს და იკითხოს. აგრეთვე, ვისაც ჰსურს მალე და იოლად გამდიდრება, ჩოხატაურში ვაჭრობას მოჰკიდოს ხელი. სავაჭროდ ბევრი არაფერი დასჭირდება, ცოტა მარილი და ნავთი, ხუთიოდე „ტარანი“ და ამდენივე „სქუმბრია“; მხოლოდ დიდი დავთარი იშოვნოს და სასწორი სოფ. ხიდისთავისა. სანამ ვაჭრობას დაიწყებდეს, საჭიროდ ვთვლით, ორნი ვაჭარნი ინახულოს და იმათის საიდუმლოთი ეზიაროს. თუ დიასული შეგირდები გამოდგებიან, პირობას მივცემთ, რომ მალე ას-თუმნიანები ჩაიჯიბონ. ზოგიერთები არ დაიჯერებენ, „როგორ შეიძლება ასე მალე გამდიდრებაო“, იტყვიან, მაგრამ ეს ვაჟბატონები საოცარის მოხერხებით იქცევიან: ისეთებს ამოიღებენ მიზანში, რომლებსაც ცოტა „ქონი სცხიათ“, ჯერ ერთს მიადგებიან კარს „აღმასრულებელი ფურცლით“ დაარბევენ, დააწიოკებენ და, როცა საქმე მოუგვარდება, მერე მეორეს დაეცემიან თავს. ასე და ამ გვარად დათარეშობენ, როგორც იმათი საკუთარი სურვილია და ჯერ ესენი მართლ-მსაჯულებას ხელში ვერ ჩაუგდია. მაგრამ „ულველთვის კოკა წყალს არ მოიტანსო“, ნათქვამია, როდესაც იქნება, იმათაც დაუმარცხდება. აქაურმა ხელის-უფლებმა და ჩოხატაურელებმაც კარგად იციან ხსენებულის ჩარჩების ამბავი, მაგრამ ამ ნუნშიაც არ აგდებენ. ყალთა გადაუფარებიათ იმათის ნამოქმედარისათვის და ერთად „მსგავსნი მსგავსისათანა განისვენებენ“.

სხვა სიკეთესთან ერთად ჩოხატაურლებმა ერთად-ერთი გონებრივი სალარო წიგნთ საცავი მიაძინეს და აქედან წაღესა შინა აზრაამისასა განუტევებს. უბედურს კარსკვლავზედ დაბადებულს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს, დიმიტრი ერისთავის ჭირისუფლობის შემდეგ, ვერაფერი კარგი დღე დაადგა. ერთხანსკა იბოგინა და მერე დაიკეტა. ვერც ბ-ნი დამაარსებელი მოექცა კარგად. თავისი მოქმედება იმითი გაათავა, რომ ნებართვა იშოვნა და ქვეყნის წვლილით ერთი სახლი დადგა; მერე ზედაც აღარ შეუხედნია. დაარსებულს მოვლა და პატრონობა უნდა, თორემ „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო“, ნათქვამია. ეს დაღოცვილი, არც თითონ ჰზრუნავს და არც სხვებს ანდობს, თუმცა რამდენჯერმე სთხოვეს. ეხლა ცხრა მთას იქით წასულა და იქიდგან გვემუქრება: „წიგნთ-საცავს დავკეტავო“. მოდით და ელაპარაკეთ.

გაიხარონ ჩოხატაურლებმა! ეხლა აღარც წიგნთ-საცავი აქვთ და უფრო მეტს დროს მოანდომებენ თავიანთის დავთრების საიდუმლოებას. ჰფუფრცლონ და ჰფუფრცლონ და ეცადნენ, რომ მეტი ხრიკი მოსდონ თავიანთ მმებს. ტყუილად-კი არა ჰქვიან ამ დაბას ჩოხატაური, ანუ „ჩოხატოული“, ესე იგი ჩოხა-დატოვებული. ერთ დროს თურმე, ერთმანეთში შუღლისა და მტრობის გამო, იმერლები თავს დაესხნენ გურულებს და ომი აუტეხეს. ომში გურულებმა გაიმარჯვეს, უკუ აქციეს მოწინააღმდეგენი და იმ ადგილს, სადაც ეხლა დაბა არის, იმერლებს ჩოხები დაატოვებინეს. ამის გამო დაერქვა ამ ადგილს „ჩოხა-ტოული“. მას შემდეგ დრო იცვალა, საომარი ასპარეზი სავაჭრო მოედნად გადაიქცა, ხმალ-იარაღი დავთრად და „ცრუტად“ შეიცვალა და „საქმენი საგმიროლნი“... მარცვა-გლეჯად. დღეს ჩოხატაურლები სცდილობენ არამც თუ ჩოხა დაატოვებინონ, ღამის პერანგიც ჰხადონ, ვისაც-კი მოიხელთებენ. ასე რომ შეიძლება მალე ჩოხატაურს „საცვლებ-ტოულიც“ დაერქვას.

სასურველია, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და შემდეგში, თუ ბევრად არა, ცოტად მაინც ალაგმოს ამ ვაჟბატონების მოქმედება. მე ჩოხატაურის ყველა ვაჭრების შესახებ არა ვწერ, ჯერ კიდევ არ გადაქცეულა ჩოხატაური სოდომად და გომორად, რომ ერთი მართალიც არ მოიძებნებოდეს, ზოგიერთნი აქაც არიან პატიოსანნი და მოსაწონნი.

ბ. ზამუკა

## დამაკვირდი

ზოგიერთი ადამიანი იმ ბაწია სავაჭრო დუქანსა ჰგავს, რომლის საუკეთესო საქონელიც ფანჯარაშია გამოფენილი.

აუერბახი

***

ვინც თავისის კეთილშობილის საქციელით თავს იწონებს, ამითი იმას ამტკიცებს, რომ ბუნებით კეთილშობილი არა ყოფილა.

***

უფრო ღირსეული იქნებოდი, ვიდრე ხარ, შენს ღირსებას რომ აგრე ხშირად არ ახსენებდე.

შექსპირი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გამოანგარიშებულია, რომ მთელის დედამიწის მცხოვრებნი 335 ენაზე ლაპარაკობენ. პაპუასები 2 ენაზე, გოტენტოტები—4, კაფრები—25, ზანგები—58, ავსტრალიელები—19, მალაელნი და პოლინეზიის მცხოვრებნი—36, მონგოლები—59, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკელნი—16, ჩრდილოეთის ქვეყნების მცხოვრებნი—8, ჩრდილო აფრიკელნი—10, ინდოეთის მცხოვრებნი—10.

***

მთელ დედამიწის ზურგზე 7,110,000 ვერსის მანძილზეა გაბმული ტელეგრაფის მავთული და გარდა ამისა ზღვის ძირში 2,556,000 ვერსის სიგრძეზე. ამ რიცხვიდგან ევროპაზე მოდის 2,556,000 ვერსი, აზიაზე—450,000 ვ., აფრიკაზე—144,000 ვ., ავსტრალიაზე—315,000 ვ. და ამერიკაზე—3,645,000. ამ გვარად პირველი ადგილი ამერიკას უჭირავს.

***

ხუროთ-მოძღვარმა ფინდეიზენმა შტუტგარდის საელექტრო ტეხნიკო საზოგადოების კრებაზე წაიკითხა მოხსენება შესახებ იმისა, რა ზარალი მოაქვს მეხის ჩამოვარდნას სოფლის მამულებისათვის. ფინდეიზენის გამოკვლევით, უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში გერმანიაში—2000 ჯერ ჩამოვარდნილა მეხი და თითოჯერ ორთაშუა რიცხვით 50 მანათის ზარალი მოუტანია. უფრო დიდი ყურადღება მიაქცია ლექტორმა სოფლის მამულებს, რომელიც დაზღვეული არ არის და მეხი უფრო ხშირად აშავებს. ფინდეიზენის ანგარიშით ყოველ წელიწადს სოფლის მამულებს მეხისაგან 4,000,000 მანათის ზარალი მოსდით. მიზეზი ის არის, რომ მეხის ასაცდევ მანქანის გამართვა ძლიერ ძვირადა ჰღირს და სოფლის მემამულეები ამ ხარჯს ვერ უძლებენ.

დასასრულ ხუროთ-მოძღვარმა ფინდეისენმა სთქვა, რომ ძლიერ კარგი იქმნება სოფლებში იეფი მანქანები გაიმართოს მეხის ასაცდენად. ამბობენ მეხის ასაცდენად საკმარისია მხოლოდ სახლის ოთხივ კუთხიდგან ჩამოჰკიდოს კაცმა ოთხი მავთული და წვერები მიწას ჩაფლასო.

***

პანამის არხის გასაჭრელად დაარსდა ახალი საზოგადოება, რომელსაც უკვე დაუყენებია სამუშაოდ 1000 კაცი ნავთ-სადგურში და 3500 კაცი მიწის სათხრელად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

31 ოქტომბერი

**სიმლა**. როდესაც ბრიტანიის ერთი რაზმი, სარინსარის მთებსა და მაიდანის ველში გაგზავნილი, უკან დაბრუნდა, გზაზედ მტერი დაეცა. 1 აფიცერი და 6 ჯარის-კაცი მოჰკლეს, 1 აფიცერი და 12 ჯარის-კაცი დაიკარგა, 3 აფიცერი და 42 ჯარის-კაცი მძიმედ არის დაჭრილი.

**ლონდონი**. ხელ-ახლა გავრცელდა ხმა, რომ სალისბური თავს ანებებს გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტრის თანამდებობასაო; სულ ახლო მომავალში სალისბური უარს განაცხადებს ამ თანამდებობაზედ. იმის მოადგილედ ლანსდოუნი იქმნება. პირველ მინისტრად ისევ სალისბური დარჩება.

**კონსტანტინეპოლი**. დელეგატთა გუშინდელს კრებაზედ, ზავის მოლაპარაკების შესახებ, პრაკტიკულად გადაწყვეტილ იქმნა იმ ადგილებიდგან რომელიც ოსმალეთს დაეთმო, მცხოვრებლების თავისუფლად გადასახლების საქმე. დღეს ხელ-ახლა იქმნება კრება.

**ათინა**. პალატას წაეკითხა მხოლოდ ბრძანება სესსიის დაწყობის შესახებ. ორშაბათს პრეზიდენტის ამორჩევა მოხდება უთუოდ არჩეული იქმნება დელიანისტთა კანდიდატი ალექსანდრე რომი.